საკრებულოს წევრის მაია სიმონიძის ანგარიში

გაწეული საქმიანობის შესახებ

2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგების საფუძველზე, გავხდი ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეორე მოწვევის წევრი პოლიტიკური პარტია "ქართული ოცნებოდან". ამასთან ამირჩიეს საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიების წევრად. აქტიურად ვმონაწილეობდი ორივე კომისიის მუშაობაში, დავესწარი კომისიის ყველა და საკრებულოს 23 რიგით და 10 რიგგარეშე სხდომას.

სისტემატურად ვარ ჩართული მოქალაქეებთან შეხვედრებში, რომელიც დაკავშირებულია სხვადასხვა პრობლემების მოგვარებასთან, კერძოდ:

ვმონაწილეობდი უხვნალექიანობის დროს დაზარალებული ოჯახების პრობლემების მოგვარებასა და კეთილმოწყობის სამსახურთან ერთად მათ გადაწყვეტაში, ჩემი მონაწილეობით მოწესრიგდა რუსთაველის ქუჩაზე მდებარე 104 და ჯავახიშვილის ქუჩის მაცხოვრებლების წინაშე წამოჭრილი პრობლემები. კერძოდ გავატარეთ სარემონტო სამუშაოები.

ასევე ვთანამშრომლობ მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურთან , კერძოდ მოსახლეობაში დაზიანებული გზის საფარის შეკეთების სამუშაოებზე და ჩვენი თანამშრომლობით რამოდენიმე უბანზე საკითხი მოწესრიგდა.

შეხვედრები მაქვს სოციალურად დაუცველ მოქალაქეებთან, მათი პრობლემების მოგვარებაში დახმარების აღმოსაჩენად, მათ შუამდგომლობა გავუწიე მერიის სამსახურთან დახმარების მისაღებად და გასულ წელს ასეთი 6 მოქალაქე იყო.

ვმონაწილეობ ქალაქის ბიუჯეტის ფორმირების პროცესში, ჩემი და ჩემი კოლეგების აქტიურობით მგზავრობის საფასურის გაზრდა მინიმალურად მცირე თანხით მოხდა (ნაცვლად 40 თეთრისა გაიზარდა 20 თეთრით)და შესაბამისად გაიზარდა სატრანსპორტო კომპანიის დოტაცია, ვფიქრობ რომ აღსანიშნავია ის ინიციატივა რაც უკავშირდება მოსწავლეთა უფასო მგზავრობას, რომლის მოგვარების საკითხი საკრებულოს ყველა წევრის აქტიურობით გადაწყდა.

ვარ ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი და მონაწილეობას ვღებულობ მის საქმიანობაში.

ჩემთვის პრიორიტეტულია მოქალაქეების დასაქმების ხელშეწყობის საკითხი, მათთან შეხვედრისა და გასაუბრების შემდეგ ჩემს მიერ დასაქმებული იქნა 40 ადამიანი და ეს პროცესი კვლავ გრძელდება.

აქტიურად ვარ ჩართული ქალთა რაგბის განვითარებაში და როგორც საკრებულოს წევრმა მერის დახმარებით შევძელი მათთვის შეგვეძინა ფორმები და მოვახდინეთ შეჯიბრებებზე მონაწილეობის მიღებისთვის მხარდაჭერა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

წევრი მაია სიმონიძე